**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის**

**ოქმი № 11**

ქ. თერჯოლა 20.11.2024 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ნინო მახათაძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3.როლანდი მესხი, 4.ფრიდონ გვენეტაძე.

**კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი**
**კვორუმი: 6 წევრი**

**დღის წესრიგი:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტისა დადგენილების პროექტის დამტკიცებისა და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმეტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282431711, 12.11.2024 წ.).

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიცვიპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20500.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 17974.7 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 1875.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 350.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება  დაფინანსდება - 1420.0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3000.0 ათასი ლარი.

განათლება - 6136.0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2773.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა  -1770.0 ათასი ლარი.

მმართველობა  და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია -5401.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1175.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4000.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის  და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 95.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა  10.0 ათასი ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის ყველა წევრმა.

კომისიის შენიშვნები:

1. გაზრდილი იქნას ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლები- 50,0 ათასი ლარით.

2. გაზრდილი იქნას დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლები- 50.0 ათასი ლარით.

3. გაზრდილი იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები - 50.0 ათასი ლარით.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი